საქმე №დს-შ/1-14 **17 თებერვალი, 2014 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: მაია ვაჩაძე (მომხსენებელი მოსამართლე)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი,
ნუგზარ სხირტლაძე

საჩივრის ავტორი - მოქალაქე ნ. ი. (პ/ნ ----------)

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მოთხოვნა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 20 იანვრის 090/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

სასამართლომ ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მოქალაქე ნ. ი-ს საჩივრის დასაშვებობის საკითხი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 20 იანვრის 090/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ადვოკატ თ. მ-სათვის უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

სადისციპლინო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2013 წლის 25 ივლისს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით მომართა ნ. ი-მა და ადვოკატ თ. მ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო საქმიანობის გაწევისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურება მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა, მის მიერ მოთხოვნილი ყველა საბუთი გადასცა, დამატებით - მომსახურების 300 ლარი და სახელმწიფო ბაჟის სახით - 100 ლარი გადაუხადა.

ნ. ი-მა თ. მ-ს განუმარტა, რომ საერთო სარგებლობის ეზოში არსებულ სადავო ღობესთან დაკავშირებით სამართლებრივი მომსახურების გაწევა ესაჭიროებოდა. სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს გარდაცვლილი მესაკუთრის დის შვილიშვილები წარმოადგენდნენ. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ადვოკატმა უთხრა, რომ დის შვილიშვილები არ განეკუთვნებოდნენ მემკვიდრეთა წრეს და მას არა ღობის გასწორება, არამედ ბინაზე საკუთრების უფლება უნდა მოეთხოვა. ასევე, ადვოკატმა მას სახელმწიფო ბაჟის თანხა - 100 ლარის ოდენობით გამოართვა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში ბაჟი არ იყო გადასახდელი, რაც საჩივრის ავტორმა მოგვიანებით გაარკვია. ნ. ი-ს თქმით, მან ადვოკატს ორჯერ სთხოვა სასამართლოსთვის მიმართვამდე საჩივრის შინაარსი გაეცნო, მაგრამ ადვოკატმა მოთხოვნაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ის თავად გადაწყვეტდა, რას მიუთითებდა სარჩელში.

ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა თ. მ-მა დაადასტურა, რომ სარჩელის შინაარსი მან ნ. ი-ს სარჩელის სასამართლოში შეტანის შემდგომ გააცნო. ეთიკის კომისია დაეყრდნო რა წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებას და მხარეთა ახსნა-განმარტებებს, დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა საჩივრის ავტორისადმი არაკვალიფიციურ კონსულტაციას, ასევე, კლიენტის არადროულ ინფორმირებას, რაც ადვოკატის მხრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით განსაზღვრული წესების დარღვევას წარმოადგენდა. ადვოკატ თ. მ-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად გაფრთხილება განესაზღვრა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 20 იანვრის 090/13 გადაწყვეტილება ნ. ი-მა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გაასაჩივრა და მოითითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და ადვოკატ თ. მ-სათვის უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის დაკისრებას - ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტას ითხოვდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ნ. ი-ს საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ არის დასაშვები შემდეგ გარემოებათა გამო:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული

გადაწყვეტილების გასაჩივრებუს უფლება აქვს ადვოკატს. აღნიშნული ნრომების იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირია ადვოკატი, რომლის მიმართაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 61-ე, 62-ე და68-ე მუხლებით (კანონის ანალოგია) და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ი-ს საჩივარი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 20 იანვრის 090/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/